საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №10
2022 წლის 11 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 5 აპრილის №28 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 5 აპრილის №28 ბრძანებით (ვებგვერდი, 05/04/2017, სარეგისტრაციო კოდი: 120340000.22.026.016479) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) წყალზე სამოქმედო არეალში სპეციალური ოპერაციების დავალებათა უზრუნველყოფა, შესაბამისი მოთხოვნის/დავალების საფუძველზე, საძიებო-სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა, ფეთქებადსაშიში საგნებისაგან/ნივთიერებებისაგან გაწმენდისა და განაღმვითი სამუშაოების ჩატარება, წყლის ფსკერის დათვალიერებისა და შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარების ორგანიზება.“.

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „გ.გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.დ“ ქვეპუნქტი:

„გ.დ) შესაბამისი მოთხოვნის/დავალების საფუძველზე, საძიებო-სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა.“;

ბ) „დ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.გ) წყალზე სამოქმედო არეალში სპეციალური ოპერაციების დავალებათა უზრუნველყოფა, შესაბამისი მოთხოვნის/დავალების საფუძველზე, საძიებო-სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა, ფეთქებადსაშიში საგნებისაგან/ნივთიერებებისაგან გაწმენდისა და განაღმვითი სამუშაოების ჩატარება, წყლის ფსკერის დათვალიერებისა და შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარების ორგანიზება.“;

გ) „ზ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ.ე“ ქვეპუნქტი:

„ზ.ე) შესაბამისი მოთხოვნის/დავალების საფუძველზე, საძიებო-სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ჯუანშერ ბურჭულაძე**